




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 39

2013 წლის 28 თებერვალი

ქალაქი ხაშური



„ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და სტიქიური უბედურების შესდეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #229 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ცვლილებები ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის №229 განკარგულების №1 დანართის შესაბამისად დამტკიცებულ ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამაში.
2. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას.
3. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე



ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი და სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი), სოციალურად დაუცველი და სტიქიური მოვლენის შედეგად დაზარალებული ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება. პროგრამა ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტს, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების შესახებ.

მუხლი 2. პროგრამისათვის საჭირო რესურსები და პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის განხორციელებისათვის ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული აუცილებელი ხარჯების მოცულობაა 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების გზები

ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის დასახლებებში მცხოვრები შესაბამისი სტატუსის მქონე მოსახლეობის საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციოდ სხვადასხვა სამშენებლო მასალებით უზრუნველყოფისათვის ოჯახს გაეწევა ფინანსური დახმარება ერთჯერადად, მაგრამ არაუმეტეს 3 000 ლარისა;

ბ) დახმარების თანხა გამოიყოფა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით;

გ) თანხის გამოყოფას საფუძვლად უდევს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურისა და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის ერთობლივი დასკვნა შენობის დათვალიერებით სახურავის, იატაკის, კარ-ფანჯრებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების მდგომარეობის შესახებ;

დ) თანხის ოდენობა განისაზღვრება ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშებაზე დაყრდნობით.

მუხლი 4. პროგრამის ხანგრძლიობა

პროგრამა დაიწყება 2013 წლის 1 იანვარს და დასრულდება 2013 წლის 31 დეკემბერს.

მუხლი 5. პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესი.

შესაბამისი სტატუსის მქონე ოჯახის წარმომადგენელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება საკრებულოს თავმჯდომარის ან გამგებლის სახელზე;

ბ) სახლის მფლობელის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სახლის საკუთრებაში ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ასლი; (არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის დასტური)

გ) სოციალურად დაუცველ ოჯახებმა რომელთა სარეიტინგო ქულა უნდა შეადგენდეს 0–დან 70000 – მდე, უნდა წარმოადგინოს ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს ხაშურის რაიონული განყოფილებიდან;

დ) მრავალშვილიანმა (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახმა უნდა წარმოადგინოს შვილების დაბადების მოწმობის ასლი;

ე) განმცხადებლის საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები.